



**საინვესტიციო გარემო საქართველოში.
სხვა ტრანსფორმირებად და მაღალგანვითარებულ
ქვეყნებში**

დაფინანსებულია შოთა რუსთაველის
ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული
გრანტით: “ახალგაზრდა მეცნიერთათვის
პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი “
N 52/18-2013/2014

ნათია შენგელია,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში,
სტუ ასისტენტ-პროფესორი,
სსუ ასოცირებული პროფესორი

ამა თუ იმ ქვეყნის სტაბილური განვითარების საფუძველია ძლიერი სახელმწიფო. ქვეყნის სიძლიერე, თავის მხრივ, ძლიერი ეკონომიკით განისაზღვრება. მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, ბევრმა ქვეყანამ, რომლებიც გარდამავალ ეტაპზე იმყოფებოდა, ეკონომიკურ სიძლიერეს ინვესტიციების ზრდის შედეგად მიაღწია. ეროვნული ეკონომიკის მოდერნიზაცია, ინვესტიციების ზრდა კი უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ხელსაყრელი, რაციონალური სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე, რაც გულისხმობს იმ ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც კომპანიებს აძლევს შესაძლებლობებს, სტიმულებს კაპიტალის ავანსირების გზით გააფართოონ საქმიანობის სფეროები, ბიზნესის მასშტაბები. მხოლოდ მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატი უწყობს ხელს კერძო სექტორის საინვესტიციო აქტივობის ამაღლებას, ეროვნული და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ქვეყნის მასშტაბით ინვესტიციების მოცულობის ზრდას. ტრანსფორმირე-

ბადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სწორედ ინვესტიციის ზრდით მიიღწევა საწარმოთა რეკონსტრუქცია, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, უცხოური გამოცდილების გაზიარება, ახალი კომპანიების შექმნა, საექსპორტო პოტენციალისა და ქვეყნის სავალუტო შემოსავლების ზრდა, სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსის გაუმჯობესება და საბოლოო ჯამში, ეკონომიკის რესტრუქტურირება, სოციალურ-ეკონომიკური სისტემის რეფორმირება და ქვეყნის ინტეგრაცია საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში.

საინვესტიციო გარემო კომპლექსური ცნებაა და გულისხმობს კაპიტალის ავანსირებისათვის ხელსაყრელი, სასურველი პირობების შექმნას.

ბოლო წლებში როგორც უცხოურ, ისე ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდ განიხილება საინვესტიციო გარემოს არსისა და მისი შეფასების მეთოდოლოგიური საკითხები. ამ პრობლემის კვლევის ისტორია საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში 30 წელზე მეტს ითვლის. საინვესტიციო შეფასების პირველი გამოკვლევა ეკუთვნით ჰარვარდის ბიზნესის სკოლის თანამშრომლებს (1969 წელი). მათ შეფასების საფუძვლად აიღეს საექსპერტო შკალა, რომელიც მოიცავდა შემდეგ მაჩვენებლებს: საკანონმდებლო პირობები უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის, კაპიტალის გადატანის შესაძლებლობები, ეროვნული ვალუტის მდგრადობა, პოლიტიკური ვითარება, ინფლაციის დონე, ეროვნული კაპიტალის გამოყენების შესაძლებლობები და ა.შ.

დღეს მსოფლიო ქვეყნების საინვესტიციო მიმზიდველობის კომპლექსურ რეიტინგს პერიოდულად აქვეყნებენ წამყვანი ეკონომიკური ჟურნალები: „Euromoney“, „Fortune“. ისინი წელიწადში ორჯერ აცნობენ მკითხველებს ქვეყნების საინვესტიციო რისკისა და საიმედოობის რეიტინგს 10 ბალიანი სისტემით. საინვესტიციო გარემოს შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფის კუთხით საყურადღებო, სასარგებლო გამოცდილება აქვთ აშშ და იაპონიას, რომელთა გათვალისწინება არ იქნება უსარგებლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნისათვის, ვინაიდან მათი გამოკვლევები ერთგვარი გზამკვლევაა ინვესტორებისათვის.

ზემოაღნიშნული უცხოური და ქართული გამოცდილების კიდევე სხვადასხვა, განსაკუთრებით სოციალური ფაქტორებით შევსების საფუძველზე შესაძლებელი გახდება უფრო სრულად დახასიათდეს საინვესტიციო კლიმატი არა თუ რეგიონის, არამედ ყველა ინსტანციაში, დაწყებული ცალკეული კონკრეტული უბნიდან (მიკრო) დამთავრებული მთელი ქვეყნის (მაკრო) დონეზე (სამუშაო ადგილი—კომპანია—დარგი—სოფელი—რაიონი—ქალაქი—რეგიონი—სახელმწიფო). ყველა ამ დონეზე უნდა შედგეს განსახორციელებელ სამუშაოთა (ლონისძიებათა) პროექტები, ბიზნეს-გეგმები, წინადადებები (ცნობილია, რომ უცხოელი ინვესტორი მოლაპარაკების მაგიდასაც კი არ მიუჯდება, ბიზნეს-გეგმის გარეშე), დაჯგუფდეს ისინი პრიორიტეტების მიხედვით და საბოლოო ჯამში აისახოს ქვეყნის საინვესტიციო გეგმაში. ამ უკანასკნელში უნდა მოექცეს ეროვნული მეურნეობის ყველა სფერო, საკუთრების ფორმების მიუხედავად, რადგან საინვესტიციო საქმიანობა ემსახურება ყველას, საერთო საქვეყნო ამოცანებს, ქვეყნის სიკეთეს, მის სიძლიერეს, რომელიც ობიექტურად გულისხმობს ყოველი სუბიექტის ინტერესთა თანხვედრას, დაბალანსებულობას, ქვეყნის ინტერესების პრიორიტეტულობის პირობებში. ქვეყნის საინვესტიციო გეგმა უნდა იძლეოდეს პასუხს კითხვაზე ღირს თუ არა საერთოდ ინვესტირება მოცემულ საქმეში, ანაზღაურდება თუ არა ინვესტიციები და როგორი სიდიდის ეკონომიკური და სოციალური დანახარჯებით. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება დღეს, როდესაც ორიენტაცია აღებულია უცხოურ ინვესტიციებზე, მის სოციალურ მიმართულებებზე. საინვესტიციო გეგმა უნდა მოიცავდეს არსებული (შესაძლო) საინვესტიციო გარემოს შეფასებას, ინვესტორისათვის იმ პირობებისა და მოთხოვნების მიწოდებას, რა მოთხოვნებითა და პირობებშიც მოუხდება მას მუშაობა.

ამრიგად, საინვესტიციო გარემო დაწყებული ფირმიდან დამთავრებული ქვეყნის მასშტაბით სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა მხარეს მოიცავს და ამდენად მისი შეფასება ერთგანზომილებიანი მაჩვენებლით წარმოუდგენელია. აუცილებ-

ლად გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოცემული ქვეყნის თუ რეგიონის სივრცეზე არსებული ტრადიციული ფაქტორები, აისახოს ეკონომიკურ—ეკოლოგიური და სოციალურ—პოლიტიკური მდგომარეობა, რომელთა ფონზეც მიმდინარეობს საინვესტიციო საქმიანობა ფართო დიაპაზონში -- სასურველიდან არასასურველამდე. საინვესტიციო პროცესში ჩართული ყველა მსურველისათვის საინტერესო საინვესტიციო გარემო არ შეიძლება ერთნაირად სასურველი ან ერთნაირად არასასურველი იყოს. დროის მოცემულ მომენტში შეიძლება ერთისათვის მიმზიდველი იყოს, ხოლო მეორესათვის ნაკლებად მიმზიდველი ან საერთოდ მიუღებელი. მაგრამ საერთო ჯამში ეს ფაქტორი ისეთი უნდა იყოს, რომ სტიმული მისცეს საინვესტიციო საქმიანობაში მონაწილე ყველა სუბიექტს (ინვესტორს, ინვესტიციის მიმღებს) აწარმოოს საქმიანობა ნაკლები საინვესტიციო რისკით.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოსთვის, როგორც ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისათვის გასათვალისწინებელია, რომ რეგიონში, სადაც სამი გარდამავალი, პოსტსაბჭოური ქვეყანაა (სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო) ყოველთვის იქნება კონკურენცია ინვესტიციებისათვის. ერთადერთი გამოსავალი, რითაც შეიძლება მოზიდულ იქნას კაპიტალი საკუთარ ეკონომიკაში, ესაა საუკეთესო საინვესტიციო გარემოს შექმნა. უცხოელ ინვესტორს აინტერესებს ისეთივე ან დაახლოებით ისეთივე საინვესტიციო, სამენარმეო გარემოში ფუნქციონირება, როგორიც არსებობს მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომელსაც ის უკვე შეჩვეულია და რომელიც მისთვის მისაღებია. ამიტომ, ჩვენი აზრით, სხვადასხვა ინვესტორებს სხვადასხვანაირი მიდგომა, პოლიტიკა და შესაბამისად, სხვადასხვანაირი საინვესტიციო გარემოს შექმნა სჭირდება.

მაგალითად, რუსეთში ჯერაც არ არის მიღწეული სასურველი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტაბილიზაცია, მაგრამ მდიდარი ბუნებრივი რესურსები აიძულებს უცხოელ ინვესტორს თვალი დახუჭოს ყოველივე ამაზე და დიდ რისკზე წავიდეს. თუმცა, როგორც თავად რუსი ექსპერტები აღნიშნავენ, აქ შევიდა მხოლოდ

სპეკულაციური ინვესტიციები. აქ ინვესტორები დაინტერესებულნი აღმოჩნდნენ მარტოოდენ მოკლევადიანი ინვესტიციებით და მაღალი მოგებით.

როგორც ჩანს, საინვესტიციო მიმზიდველობა საკმაოდ სუბიექტური ცნებაა. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, როგორი ფაქტორები, რანაირი საინვესტიციო გარემო ხდის რეგიონს თუ ქვეყანას მიმზიდველად ინვესტორებისათვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც მხედველობაში მიიღება ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დროს, არის ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა, მისი უსაფრთხოება. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის საინვესტიციო აქტივობის დონის გაანალიზება შემდეგი პირობითი ფაქტორ-მაჩვენებლების გათვალისწინებით: 1) დეპოზიტების განაკვეთი - როცა უცხოელი ინვესტორი საქართველოში სანარმოს გახსნის, მეტი სტიმულია, როდესაც მაღალია ეს განაკვეთი; იგი დაინტერესებულია დროებით მოჭარბებული ან გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები ისევ სადმე დააბანდოს და პარალელურად სარგებელი ნახოს; 2) სესხის ალების განაკვეთი (ფინანსური სახსრები ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია წარმოების დასაწყებად და შემდეგაც, წარმოების პროცესში მის ნორმალურად გასაძლოლად. სესხის ალება თუ საქართველოში წლიური 15-18 %-ია, ხოლო ჩეხეთში — 5-7%. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ინვესტორი ჩეხეთში ამჯობინებს თავისი კაპიტალის დაბანდებას; 3) ინფლაციის განაკვეთი; 4) გადასახდების განაკვეთი-თუ იგი დაბალია, მით უფრო მეტი სტიმულია, რომ კომპანია დაფუძნდეს ამ ქვეყანაში და დაიწყოს ფუნქციონირება, რომ არაფერი ვთქვათ ცხრილ №1 -ში მოცემული მონაცემების გასაანალიზებლად გამოვიანგარიშოთ საშუალო არითმეტიკული შემდეგი 4 ფაქტორის გათვალისწინებით:

$$IAL = (I_{\text{დეპ}} + I_{\%} + I_{\text{ინფ}} + I_{\text{გადას}}):4, \text{ სადაც}$$

1) $I_{\text{დეპ}}$ - 1 წლამდე ვადით დეპოზიტებზე სა-%-ო განაკვეთი;

2) $I_{\%}$ - 1 წლამდე ვადით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი;

„საგადასახადო არდადეგების“ სიკეთეზე ცხრილი N1

ქვეყანა	1 წლამდე დუონიტების განაკვეთი, %	1 წლამდე სეს- ების განაკვე- თი, %	ინფლაციის განაკვეთი, %	გადასახადის განაკვეთი, %
წელი	2009/2011/ 2012/2013	2009/2012/ 2013	2009/2011/ 2012/2013	2009/2011/2012/ 2013
საქართველო	10.8/11.5/10.7/7	17.9/14.8/13.6	-2.0/9.7/1.2/-0.6	15.3/16.5/16.5/16.4
სომხეთი	8.7/9.2/9.6	18.8/17.2/16	2.6/17.2/18.1/18.5	38.6/38.8/38.8/38.8
უკრაინა	13.8/7.9/13	20.9/18.4/16.6	13.1/14.3/8.2/1.2	57.2/57.1/55.4/54.9
რუსეთი	8.6/4.4/5.5	15.3/9.1/9.5	2.0/15.9/7.5/5.9	48.3/46.9/54.1/50.7
ჩეხეთი	1.3/1.0/1.0	6.0/5.4/5.0	2.3/-0.9/1.6/1.9	46.4/48.1/48.1/48.1
აზერბაიჯანი	12.2/10.9/10.2	20/18.3/18.2	-18.9/22.6/1.4/1	40.9/40.0/40.0/40
ავსტრალია	3.1/4.3/3.9	6.0/7.0/6.2	4.9/6.1/2.0/-0.3	47.6/47.3/47.2/47
კანადა	0.1/0.5/0.5	2.4/3.0/3.0	-2.1/3.2/1.7/1.2	42.3/26.1/24.6/24.3

<http://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.DEFL.KD.ZG>

3) ინფ - ინფლაციის %; 4) გადას - გადასახადების განაკვეთი;

ზემოაღნიშნულის შესაბამისად გაანგარიშებულ იქნა საქართველოს, სომხეთის, უკრაინის, რუსეთის, ჩეხეთის, რუმინეთის, აზერბაიჯანის, გერმანიის, აშშ-ს, საინვესტიციო აქტიურობის შეფასებისათვის პირობითი საშუალო მაჩვენებლები:

$$IAL_{\text{საქ}}_{2009} = (10.8 + 17.9 - 2.0 + 15.3) / 4 = 10.5;$$

$$IAL_{\text{საქ}}_{2012} = (10.7 + 14.8 + 1.2 + 16.5) / 4 = 10.8;$$

$$IAL_{\text{ავსტრალია}}_{2012} = (3.9 + 7 + 2 + 47.2) / 4 = 15.03;$$




$$IAL_{\text{უკრ}}_{2012} = (13 + 18.4 + 8.2 + 55.4) / 4 = 23.75;$$

$$IAL_{\text{ჩეხ}}_{2009} = (1.3 + 6 + 2.3 + 46.4) / 4 = 14;$$

$$IAL_{\text{ჩეხ}}_{2012} = (1 + 5.4 + 1.6 + 48.1) / 4 = 14.03.$$

დანარჩენი ქვეყნების — სომხეთის, უკრაინის, რუსეთის, კანადის, აზერბაიჯანის საინვესტიციო აქტიურობის დონის საშუალო მაჩვენებლები გაანგარიშდა 2009, 2012 წლებში ანალოგიურად (მათი შედეგების შესადარებლად იხ. ცხრილი N 2).

ცხრილი N 2

ქვეყანა	2009 წ.	2012 წ.	2009/ 2012 წწ.	ტენდენცია- გრაფიკულად
საქართველო	10.5	10.8	+2,86 %	
სომხეთი	17,18	20,93	+21,83 %	
ჩეხეთი	14	14,03	+ 2,14 %	
აზერბაიჯანი	13,55	17,48	+29 %	
რუსეთი	18,55	15,53	-16,28 %	
უკრაინა	26.25	23.75	- 9,52 %	
ავსტრალია	15.4	15.03	- 2,4 %	
კანადა	10.7	7.45	- 30.4 %	

როგორც ცხრილი N 2-დან ჩანს, რომ საქართველოს, სომხეთის, ჩეხეთის, აზერბაიჯანის საინვესტიციო აქტიურობის საშუალო მაჩვენებლები 2009-2012 წლებში ზრდადი ტენდენციით (იხ. ისრებით გრაფიკული გამოსახულება) გამოირჩევა, გარდა ავსტრალიისა, კანადისა, უკრაინისა და რუსეთისა. რუსეთისა და უკრაინის საინვესტიციო აქტივობის საშუალო კლებადი მაჩვენებლები რთული პოლიტიკური ვითარებით აიხსნება; ხოლო ავსტრალიის და კანადის კლებადი ტენდენცია შეიძლება ლოგიკური იყოს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ქვეყნები უკვე ნელ-ნელა ნაკლებ უცხოურ ინვესტიციებს იღებს და ბევრს არც საჭიროებს, რადგან არცთუ მეტად არიან დამოკიდებული უცხოურ ფინანსურ თუ სხვა სახის რესურსებზე.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, რომელიც მხედველობაში მიიღება ევროკავშირში ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების დროს, არის ამ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობა, მისი უსაფრთხოება. საინტერესოა 2009-2014 წლების “The Heritage Foundation”- ის მიერ გამოქვეყნებული საინვესტიციო, ბიზნესის, ფინანსური და ვაჭრობის თავისუფლების მაჩვენებლების შედარება ქვეყნების მიხედვით:

ცხრილი N3

ფეხმძივ სამხედრომედი	დღეგრძეობის წლები	დღეგრძეობის წლები	დღეგრძეობის წლები	დღეგრძეობის წლები
თარიღი	2009/2011/2012/ 2013/2014	2009/2011/2012/ 2013/2014	2009/2011/2012/ 2013/2014	2009/2011/2012/ 2013/2014
სომხეთი	70/0/75.0/75.0 /75.0/70	83.7/82.4/87.8/ 87.6/83.1	70.0/70.0/70.0/ 70.0/70.0	86.4/85.5/85.4/ 85.4/85.5
აზერბაიჯანი	30/55/55/55/60	74.6/72.9/68.6/69.2/73.5	40/40/40/40/50	78.4/77.1/77.2/77.2
ჩეხეთი	70/70/70	65.1/69.8/67.7	80/80/80	85.8/87.6/87.1
საქართველო	70/70/70/75/80	86.6/87.3/86.9/90.6/87.8	60/60/60/60/60	80.6/89.2/89.2/89.2/88.6
რუსეთი	30/25/25/25/25	54/50.7/65.1/69.2/70	40/40/40/30/30	60.8/68.2/68.2/77.4/74.6
უკრაინა	30/20/20/20/20	40.5/47.1/46.2/47.6/59.8	30/30/30/30/30	84/85.2/84.4/84.4/86.2
აშშ	80/75/70/70/70	91.9/91/91.1/90.5/89.2	80/70/70/70/70	86.8/86.4/86.4/86.4/86.8
გაერთიანებული სამეფო	90/90/90/90/90	89.8/94.6/94.7/94.1/92	90/80/80/80/80	85.8/87.6/87.1/86.8/87.8
გაერთიანებული არაბთა საემიროები	30/35/35/35/35	57.7/67.3/68/74/74.4	50/50/50/50/50	80.8/82.6/82.6/82.6/82.5

<http://www.heritage.org/index/explore.aspx?view=by-region-country-year>

როგორც ცხრილი N3-ის მონაცემებიდან ჩანს 2009-2014 წლებში ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები გამოირჩევა, როგორც მოსალოდნელი იყო; ხოლო ყველაზე დაბალი ინდექსები აქვს ისევ უკრაინასა და რუსეთს რთული პოლიტიკური, საინვესტიციო-ეკონომიკური გარემოს გამო, სადაც ინვესტირება, ბიზნესის, ფინანსური თუ ვაჭრობის თავისუფლება მეტ-ნაკლებად შეზღუდულია, საქართველო კი ამ ქვეყნებთან შედარებით საშუალოდ მაღალი ინდექსებით ხასიათდება.

ამრიგად, საინვესტიციო ეკონომიკური გარემოს შეფასებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საინვესტიციო, ბიზნესის, ფინანსური და ვაჭრობის ინდექსები, ასევე ინფლაციის, გადასახადის, დეპოზიტის თუ სესხების განაკვეთები. ზემოთხსენებული მონაცემებიდან ჩანს, რომ საქართველოს სხვა ტრანსფორმირებად თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საშუალოდ მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა 2009-2014 წლებში. საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობის გასაზრდელად კი ზოგადად ეს იქნება პირდაპირი ფინანსური, სტრატეგიული თუ პროტფელური ან სხვა სახის საინვესტიციო პროგრამა, ის უნდა იყოს მიმართული იქითკენ, რომ ზეგავლენა მოახდინონ ისეთი ფაქტორების განვითარებაზე, რომლებიც წარმოაჩენენ ასევე სარისკო დაფინანსების ობიექტების პოტენციალს. მათ მიეკუთვნება კომპანიებში ისეთი სტრატეგიისა და ბიზნეს—მოდელების არსებობა, რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ ზრდის მაღალი პოტენციალი, მენეჯმენტის კვალიფიკაცია, კორპორაციული ურთიერთდამოკიდებულების დონე, ასევე ისეთი ღონისძიებები იქნება გათვალისწინებული, რომლებიც აამაღლებს რეგიონის გადახდისუნარიანობას და წახალისებს იმ კომპანიების განვითარების პროცესებს, რომლებიც მზად არიან განათავსონ თავიანთი აქციები ღია ბაზარზე.

**გამოყენებული ლიტერატურა და
ინტერნეტ-რესურსები:**

1. <http://data.worldbank.org> , www.heritage.org, geostat.ge;
2. Investments: Analysis and Management, 12th Edition, Jan 1, 2013- by Charles P. Jones.
3. Investments (McGraw-Hill/Irwin Series in Finance, Insurance, and Real Est) by Zvi Bodie, Alex Kane and Alan Marcus (Sep 9, 2013).
4. ინვესტიციები, თეორია, ანალიზი, ორგანიზაცია, მართვა. თბ. 2010 წ. – ა. სიჭინავა;
5. Investment Banking: Valuation, Leveraged Buyouts, and Mergers & Acquisitions by Joshua Rosenbaum, Joshua Pearl, Joshua Harris and Joseph R. Perella (May 28, 2013).
6. რ.შენგელია, ჟ.ნიკლაური, ნ.შენგელია-ინვესტიციები და მათი როლი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნების განვითარებაში-თბ. 2013 წ.
7. ლ. ქოქიაური-საინვესტიციო მენეჯმენტი და პოლიტიკა, თბ. 2008.
8. Wealth Building: Wealth Building Guide To Building Wealth Through Smart Investments And Wealth Creation Techniques... by John McQuilkin (Aug 22, 2014).

THE INVESTMENT ENVIRONMENT IN GEORGIA, IN OTHER TRANSITIONAL AND HIGHLY-DEVELOPED COUNTRIES

Natia Shengelia,

Doctor of Social Sciences in Economics,
GTU, Assistant-professor, STU, Associate Professor

RESUME

Thus, the investment plays an important role in the assessment of the economic environment for investment, business, financial and trade indices, inflation, taxes, deposit and borrowing rates. The above data show that in transforming the highly developed countries, compared with the average for 2009-2014 is characterized by high levels. This will increase the investment attractiveness of the financial, strategic and portfolio or other investment program, it should be directed towards those factors that influence the development of facilities that demonstrate the potential of venture financing. These include companies such strategies and business models are capable of ensuring a high growth potential, management skills, corporate interdependent levels, as well as measures to be taken into account, which will increase the solvency and encourage companies to develop processes that are willing to place their shares on the open market .